№ 173 აგვისტო 15, ხუთშაბათი 1891 აგვისტო 15, ხუთშაბათი № 173

ეროვნული ბიბლიოთეკა

გაზეთი ღირს

თვე	მან. კ.	თვე	მან. კ.
12	10 —	6	6 —
11	9 50	5	5 50
10	8 75	4	4 75
9	8 —	3	3 50
8	7 25	2	2 75
7	6 50	1	1 50

ცალკე ნომერი—ერთი შაური

ივერია

გაზეთის დასაკვეთად და კერძო განცხადებათა დასაბეჭდათ უნდა მიჰმართონ: თვითონ რედაქციას, კუკიაში, ავჭალის ქუჩაზედ, ვარანცოვის ძეგლის პირდაპირ, თავ. გრუზინსკისეულს სახლებში; წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების კანცელიარიას, სათავად-აზნაურო ბანკის სახლებში, სასახლის ქუჩაზედ.

ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი რვა კაპეიკი.

1877—1891 საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი 1877—1891

დღესასწაულის გამო შემდეგი ნომერი გამოვა შაბათს, 17 აგვისტოს.

ქუთაისის გუბერნიის თავად-აზნაურთა საცნობლად უმორჩილესად ვაცხადებ, რომ წელს სენაკის სათავად-აზნაურო სასწავლებლის პირველს განყოფილებაში ოც-და თექვსმეტი (36) თავისუფალი ადგილია, მეორეში-თხუთმეტი (15), მესამეში (10) ათი და მეოთხეში თორმეტი (12). პირველს განყოფილებაში შემსვლელთ ეგზამენი არ მოეთხოვებათ, რადგანაც ან-ბანის უმეცარნიც მიიღებიან, ხოლო ვისაც შემდეგს განყოფილებაში ჰსურს შესვლა, იმათ შესაფერ განყოფილების პროგრამის ეგზამენი უნდა დაიჭირონ. თხოვნასთან უნდა წარმოდგენილ იქმნას მოწმობა აზნაურობისა, ანუ ბარათი ქუთაისის სათავად-აზნაურო ბანკისა, რომ მთხოვნელი ბანკის დამფუძნებელთა შორის ითვლება.

თხოვნის მიღება დაიწყება 25 აგვისტოდამ და 30-მდე გასტანს დაბა ძველს სენაკში სკოლის ინსპექტორის სახელობაზე. (7—2)

სკოლის ინსპ. სამსონ გ. ყიფიანი.

„ქართველთა ამხანაგობის“
წიგნის მაღაზია
1-ლ სექტემბრიდამ
გადავა საკუთარ სადგურში იმავე (ლორის მელიქოვის) ქუჩაზე, ალექსანდრეს ბაღში, ქაშვეთის ეკკლესიის პირდაპირ, კუთხეში. (5—0—3)

ახალი ამბავი

*** საქართველოს ეგზარხოსის ყოვლად მაღალ უსამღვდელოესის არქიეპისკოპოსი პალლადის მეცადინეობით კავკასიაში კიდევ ორი სამისიონერო ადგილი უნდა გაიმართოს მწვალებლების სწავლების საწინააღმდეგოდ.

*** ორშაბათს, 12 ამ თვისას, ჩვენს საოპერო თეატრში ტევა აღარ იყო: სადაც-კი შეიძლებოდა, ყველგან დაჭერილი იყო ადგილი, ასე გასინჯეთ შესასვლელს დერეფანშიაც-კი იდგა ხალხი და, როგორც იტყვიან ხოლმე, „ცალის ყურით“ უსმენდნენ გამოჩენილს რუსეთის კომპოზიტორს და დამკვრელსა, ა. გ-ძეს რუბინშტეინს, რომლის გამოსვლამ მთელი საზოგადოება მღელვარებაში მოიყვანა. დამსწრე საზოგადოების აღტაცებას ხომ საზღვარი არა ჰქონდა, როცა მოისმინა საკვირველი ხმები საკვირველის დამკვრელისა...

კონცერტი, როგორც თავის დროზე ნათქვამი გვქონდა, საქველმოქმედო დანიშნულებით იყო გამართული. საიმპერატორო სამუსიკო საზოგადოების განყოფილება ტფილისში აპირებს სამუსიკო სასწავლებლისათვის სახლის აგებას და მთელი შემოსავალი ორშაბთის კონცერტისა ამისათვის არის დანიშნული. როგორც ამბობენ, ორას თუმანზედ მეტი შემოუვიდა ამ კონცერტიდგან სამუსიკო სკოლასაო.

*** ახლოვდება ენკენისთვე და ჩვენის ქალაქის საბჭოს კრებებიც გაიმართება. ქალაქის გამგეობაში ბევრმა საყურადღებო საქმეებმა მოიყარა თავი და ელის საბჭოს კრების გამართვას. ამიტომ გამგეობა იმის მზადებაშია, რომ მოსახსენებელი საგნები დაამზადოს მომავალის ენკენისთვისათვის.

*** ტფილისის სახელოსნო სასწავლებლის დირექტორს ბ-ნ ხარკოვს ამ სასწავლებლის ღარიბ მოსწავლეთათვის დანიშნული სტიპენდიები წინ-და-წინ გაჰქონდა ხოლმე ქალაქის კასისაგან. ამ ჩვეულების დარღვევა არც ეხლა მოინდომა ბ-ნმა ხარკოვმა და ამ დღეებში მოითხოვა წინ-და-წინ მოსწავლეთა სტიპენდია. ქალაქის თავის თანამდებობის აღმასრულებელს ბ-ნ ივანენკოს უარი უთქვამს ბ-ნ ხარკოვისთვის სტიპენდიების წინ-და-წინ მიცემაზედ: ყოველ თთვეს გაიტანეთ ისე, როგორც მასწავლებლების ჯამაგირი მიგაქვთ მუდამ თთვეოო.

ძნელია ათის წლის ჩვეულების დარღვევა, მაგრამ მასთან რას იზამთ, როცა სამართლიანია ბ-ნ ივანენკოს განკარგულება.

*** მას აქედ, რაც მთავრობამ გაუადვილა რკინის გზებით მოგზაურობა ყველა სკოლის მასწავლებელთა და მოსწავლეთ, ჩვენი რკინის მართველობას აუარებელი ხალხი მიაწყდა ბილეთების გამოსატანად. მართველობამ ორი კაცი მიუჩინა ამ საქმეს და უნდა ნახოთ ამათი მდგომარეობა: სწორედ შესაბრალისნი არიან, რადგან ვერ ასწრებენ ბილეთების წერას. ასე გასინჯეთ, მას აქედ, რაც ეს განკარგულება გამოვიდა, მგონებ, ორი თთვეც არ არის ჯერ და ამ ორ კაცს ორმოცი-ორმოც და ათი ათასამდე ბილეთი გაუცია. მერე საქმე ასეა მოწყობილი, რომ ბილეთები ყველა კუთხიდგან აქედგან უნდა დაიბარონ.

რკინის გზის მართველობას, არა გვგონია, კიდევ ორისა ან სამის კაცის მიმატება გაუძნელდეს რომ, ამით შველა მიეცეს იმ ორ კაცს, რომელთაც დღეს წელი ვერ გაუმართავთ აუარებელის რიცხვის ბილეთების მზადებაში.

*** სოფ. ნოსირი (სენაკის მაზრა). ჩვენს ბუნებისაგან მდიდრად შეზავებულს სოფელს მეტად გაჭირებული აქვს ცხოვრება გზებისა და ხიდების უვარგისობისა გამო. სოფელი გაჭიმულია მდინარე ტეხურის ნაპირას შვიდ-რვა ვერსის მანძილზე და ზედ ოთხი-ხუთი საზოგადო გზა გადის და ხუთი თუ ექვსი ხიდი სჭირდება და თითო მათგანი ორმოც თუმნამდე მაინც დაჯდება. ეს გზები ძარღვია განაპირა იმერეთისა, გურიისა და თითქმის მთელის სამეგრელოსი. ჩვენი გლეხობა თეკლათის საზოგადოებაში გაჰყავთ ყოველთის სამუშაოდ, მეორე საბოქაულო უბანში, და ჩვენი გზები-კი რჩება ღვთის ანაბარა. ყველა ამასთან რკინის გზის დაცვაც ჩვენ გლეხობას დააწვა თავზედ. ამის შემდეგ ადვილად დარწმუნდებით, რომ ჩვენს გლეხობას დრო აღარ აქვთ თავიანთ გზებს ყური ათხოვოს, მერე თუ ძალასაც არავინ ატანს.

დახე უბედურებას! გასულის თვიდამ მოგვიხშირა წვიმები, მდ. ტეხური ნაპირებს გადავიდა და უიმისოდაც გაფუჭებული გზები სრულიად მოაოხრა: მიაწვა ერთ ალაგას და ლამის ერთი კუთხე მცხოვრებნი სრულიად წალეკოს. ჩვენი მამასახლისი-კი თეკლათში მიერეკება ცემა-ტყეპითა ჩვენს ხალხს და იქაურ გზებსა და ხიდებს აკეთებინებს.

თეკლათლების ბატონობა ნოსირლებზე ახალი ამბავი არ არის: ამის შესახებ 1889 წ. „ივერიის“ მე-170 ნომერშიაც იყო ცნობები დაბეჭდილი. ვერ გაგვიგია, თუ ვითარი სამართალია, თავის საჭიროებაში ყურამდე ჩაფლული 300 კომლიანი ნოსირის საზოგადოება შველიდეს 900 კომლიან თეკლათის საზოგადოებას! ილაჯ-გაწყვეტილმა ნოსირის საზოგადოებამ ათამდე პატივცემული თავად-აზნაური და გლეხი ამოირჩია და დეპუტაციად გაუგზავნა მაზრის მართველსა და აუხსნა მას თავისი ვარამი. მაზრის უფროსი შეწუხდა, როცა ყოველივე ეს შეიტყო და [illegible] დახმარების იმედი აღუთქვა მთხოვნელებს. „როგორც ახალი კაცი ამ მაზრაში, ნამდვილი გარემოება ჯერ არ ვიციო—სთქვა უფროსმა. ამ ორ-სამ

ფელეტონი

ვაჟკაცის დარდი

I

იტყოდნენ: „ალაზნის თავსა
სისხლის წყარონი დიანო;
არცა ჰსმენ მონადირენი,
არც როდის დაშრებიანო;
ეგ ურჯულონი, დიდონი
სასმელად გადმოდიანო.
ელოდებიან მგზავრებსა,
მიმდინარ-მომდინარესა;
ჰხოცვენ და სცარცვენ, ზოგი-კი
ტყვედ მიჰყავთ უცხო მხარესა“.
ისევ დღე არის, ჯერ პირი
არ დაჰჩენია მთვარესა...
ვნახოთ—მოისმა ღიღინი,
გუშა მკვნესარი ხმისაო:
ლეკები წამაიმალნენ,
შვილები დაღისტნისაო...
მალე გამოჩნდა გზაზედა
პირი ლამაზი ყმისაო.
შაჰხედვენ, უკვირთ, ჭაბუკი
ემსგავსებოდა მზესაო,
ძვირფასს აბჯარში ჩამჯდარი
მაიღერებდა ყელსაო;
ხელში თოფს ატრიალებდა,
მააჭენებდა ცხენსაო.
ლეკთა თათბირი დაიწყეს,
მიმოთქმა შაექნებოდათ,
ალი და მური მტრობისა
ხელ-ალებ ჩაედებოდათ;
ერთი მოხუცი ბერ-კაცი
ჰკვას ახლო ეუბნებოდათ:
„ხომ იცით, ჩვენის შიშითა
ბუზსაც ვერ გაუვლიაო;
თუ გაუბედავ, ჩვენს ხელსა
ის მზისთვის მოუშლიაო...
მაგას-კი, ვატყობ, საჩვენოდ
მარტოკას მოუცლიაო.
„ჩამოეხსენით, რა გინდათ?
თქვენს ქერქში ეყარენითა.
ვინც ჰნახოთ თქვენის კბილისა,
იმასვე ეტანენითა.
ეგ კი გაუშვით, იაროს,
ჯაგებსვე ეფარენითა“.
ყველანი შედგნენ. იმანაც
გამაიარა მღერითა.

II

მეორე დღეა. ლეკები
იქავა სხედან მზირადა.
შაჰხედეს: ისევ ის მოდის,
გამხდარა ქვად და კირადა:
არც ცოცხალია, არც მკვდარი,
თავი გაჰხდია ჭირადა...
ვაჟკაცი ქვეყნის ბადალი,
უსულოს დაჰმსგავსებია,
ფერი კუპრის და ლილისა
ნისლად ზედ შამოსდებია.
ჰთქვეს: „რა მოსვლია ბეჩავსა,
ნეტარ რა დაჰმართებია?
იქნება ვინმე მოუკვდა,
გულს შამოაწვა შავადა;
ან სხვა რამ უბედურებამ
სულის და გულის მწვავადა
გატეხა გაუტეხელი,
თავზედ დააწვა ზვავადა?
რაც უნდა იყოს მიზეზი,
აწ გასახარო ჩვენია“.
წამოუცვივდნენ ლეკები
და დაუჭირეს ცხენია.
იმას კი ბეწვი შიშისა
პირზედ არ დაუჩენია!
არც უხმარებავ აბჯარი,
არც გაუნძრევავ ხელია!
დარდი, ღრმა გულში ჩაკლული,
ვაჰმე, რა რიგად ძნელია!
ცოტა მიჰხედათ... პირიდამ
ხმა ამოჰვარდა ნელია:
— რა გინდათ, ბიჭო, ვინა ხართ,
რატომ მიხვდებით წინაო?
— განა ვერ ჰხედავ, რაც გვინდა?
ბელადმა გაიცინაო:
აბჯარი მოგვეც, ცხენიცა,
ველარც შენ წახვალ შინაო.
— თუ ეგ გინდოდათ, სხვა არა,
დამიმადლებავ ღვთისთვინა!
წამოვალ, თავი ნებითა
ჩემი მიმიცავ სხვისთვინა.
— მაშ ხმალ-ხანჯალი რად გინდა,
რის შავი ეშმაკისთვინა?
— მე მაშინ ვხმარობ აბჯარსა,
როცა სიცოცხლე მწყურიან,
და სხვანი მოსაკლავადა
ჩემს თავს მგლებივით უვლიან,
და არა მაშინ, როცა გულს
შავნი ზეცანი ჰხურიან.
— თუ მაგრე არის, გუშინა
ისე რა მოგამღერებდა?
— მეგონა გავლა, გამოვლა
გულს ნათელს დააყენებდა
და ფიქრი შინ დაბრუნვისა
უდროდ არ დააბერებდა.
რა გუშინ? მუდამაც ისე,
როცა სახლს მოვშორდებია,
მკვდარი ვაჟკაცი ავდგები,
ხელახლად გავცოცხლდებია:
მაშინ მზეც მიყვარს, სიცოცხლეც,
ისევ მე მედა ვხდებია.
მაშინ, თუნდ ჩინგის ყეინი
დამეცეს თავის ჯარითა,
მენამც მოვკვდები, თუ ოდნივ
დავახამხამო თვალითა:
სანამ შემიძლავ, ვიბრძოლებ,
გავისარჯები ხმალითა;
თუ არა—მეც დავილევი
ყველათ დამლევის წყალითა.
მაგრამ რო გამოვბრუნდები,
აი ემგვარად მამივა.“
ძნელია, როცა ვაჟკაცსა
გული საგონად გაუვა
და ნახევარის სიცოცხლის
წუთი-სოფელი წაუვა!
— გურჯო, რას ამბობ, ემაგრე
სახლი რად შაგჯავრებია?
თავის ბუნაგის დანახვა
ყველასაც გაჰხარებია?
— გაჰხარებია და საქმეც
იმას სხვა რიგად ჰქონია.
ერთის ვაჟკაცის ნათქვამი
ანდერძი გამიგონია:
„რიგში რა უძე, ვისაცა
ცოლი ურიგო ჰყოლია?
სატირელ-თავში საცემი
იმას ოჯახში ჰქონია!“

დიაღ, მეც ცოლი ქამი მყავს,
ჭირზედ ყველაზედ მეტია;
სიტყვით, თუ ყოფა-ქცევითა
ეშმაკზედ გადამეტია:
ვწვრთნი—არ მიგონებს, და მოკვლა
კიდე არ გამიბედია:

ქმრისაგან ცოლის სიკვდილი
ჩვენს სჯულში არა სწერია;
ეს დავითხოვო, სხვა ვპოვო,
ხალხი დამძრახავს, ერია,—
ვერ მოვრჩი, კერაზედ მიზის
ხელ-უქცევარი მტერია!
წამოვალ, თუ კი წამიყვანთ,
არ მოგანდომებთ ძალასა,
თუ კი მოვრჩები აქიურს
ცა-ღრუბელს, მიწა-ჰალასა.
ვიცი, რომ ამით ისაც-კი
ბევრს არ დაიწყებს ნანასა!...

უთხრეს, რომ: „გურჯო, გავიგეთ,
რაც დღე გდგომია მწარია,
სხვა სატანჯველი არ გინდა,
შენთვის ეგაცა კმარია...
წადი... და ალლახმა ჰბრძანოს,
დღე დაგდგომოდეს დარია;
ისაც შენ იყოს ისევა,
რაც რამე შენთან არია.“
გაუშვეს, მაგრამ წასვლითა...
ისემც მტერს გაუხარია!

ბაჩანა

დღეში მე თვითონ დავივლი ნოსირის გზა-ხიდებსა, და ყოველს ღონეს ვიხმარ თქვენს საჭიროებასა და ტკივილს შვება მივსცე“.

ყველანი მოუთმენელად მოველით ამ მამობრივ ნუგეშინის სიტყვების განხორციელებასა.

⁂ ამ რამდენისამე დღის წინად ჩვენც გვქონდა ნათქვამი, რომ მანგლისში ბავშვების ავადმყოფობაა გავრცელებული და ბევრი სახლობა, რომელიც აგარაკად გასული იყო, უკანვე ქალაქში მოეჩქარება, რომ სენს თავი დააღწიოსო.

ეხლა უფროსი მკურნალი ტფილისის საკადეტო კორპუსისა, ბავშვების ავადმყოფობის მცოდნე, ბ-ნი ნ. უშაკოვი, რომელიც ამ ჟამად მანგლისში იმყოფება, შემდეგ წერილს სწერს „ტ. ლისტოკ“-ის რედაქციას: „ივნისის 7 რიცხვიდამ ვექიმობ მანგლისში, ჩემს ხელშია მთელი ტფილისის საკადეტო კორპუსი და მოვალედ ვრაცხ ჩემ თავს აღვიარო, რომ მანგლისში არავითარი გადამდები ავად-მყოფობა არ არის“.

⁂ სამწუხარო ამბავსა იწერება ბათუმელი კორესპოდენტი გაზ. „ნოვ. ობოზრ.“-ისა. ამ დღეებში შავზღვას უმსხვერპლია იქ ქუთაისის გიმნაზიის მეექვსე კლასის მოსწავლე, 19 წლის მაქსისე გეორგაძე, ქუთაისში მცხოვრებელის მღვდლის, მამა ბესარიონ გეორგაძის შვილი. საბრალო გეორგაძე იმავე ადგილას დაიღრჩოვო—იწერება კორესპოდენტი—სადაც ამას წინად ორმა კონსულმა ორი კაცი გადაარჩინა [illegible]. თუმცა მისაშველებელი რგოლები იქვე ყოფილა მზად დაკიდებული, მაგრამ შველა მაინც არავის აღმოუჩენია თურმე.

კორესპოდენტი დიდს საყვედურს იწერება ბათუმის პოლიციაზედ, რომელმაც არავითარი საშუალება არ იხმარა თურმე საბრალო გეორგაძის უბედურებისაგან დახსნისათვის. რომ დროზედ ხელი გამოეღოთ, გადარჩენაც შეიძლებოდაო.

ქალაქის გამგეობამაც უნდა ღონე იღონოს, დამხმარებელი სადგური გაჰმართოს ზღვის ნაპირას, რომ ზაფხულის თთვეებში ზღვაში მობანავეთ გაჭირვების დროს დახმარება დროზედ აღმოუჩინონო.

⁂ მომავალის ენკენისთვიდამ რკინის გზის პირველ-დაწყებითი სასწავლებლები სამკლასიან სასწავლებლებად უნდა გადაკეთდეს და სწავლა-კი იმავე პროგრამით იქნება, როგორც სამოქალაქო სასწავლებლებშია. სამს ადგილას იქნება გამართული ეს სასწავლებელი: ტფილისის, განჯისა და ხაშურის სადგურებზე. თითო სასწავლებელს მიჩენილი ეყოლება ინსპექტორი და ორიც მასწავლებელი.

სასწავლებელში მიიღებენ ბავშვებს შვიდის წლიდგან დაწყებული და, როგორც ამბობენ, ამ სასწავლებელში სწავლა დამთავრებულს უეგზამენოდ მიიღებენ გიმნაზიის 1-ლს კლასშიო. მომავალში ამ სასწავლებლებში ქალებისათვისაც გაიმართება განყოფილება, როგორც ამბობს გაზ. „ნოვ. ობოზრენიე“.

⁂ 13 აგვისტოს, ნაშუადღევის ორსსაათზე, ჯარის-კაცი ვასილ კირგიშევი ბანაობის დროს მტკვარმა მოიტაცა, მაგრამ მალე მიაშველდნენ [illegible] გადამრჩენის სადგურიდგან და ამოიყვანეს.

⁂ ამავე დღეს გადამწერმა ალექსი ზახაროვმა პოლიციაში გამოაცხადა, რომ სიმთვრალის დროს დუქნის მახლობლად ტივზე დავიძინე და 20 მან. და ვერცხლის ქამარხანჯალი ამაცალესო. სულ მომპარეს 89 მანეთისაო.

◆◆

არჩილური, შვიდ-თავი

(საამდროო ამოცანები)

—

სარბიელს ვრცელს გამოსულა,—
შინ და გარედ ითვალ-ყუროს,
არც ცუდად სწერს, არც ცოტას გმერს,
თუნდ რომ ბევრიც მოემდუროს;
ნაღვლობს, ჰშიშობს, ხან ნუგეშობს,
ხან ტუქსუნობს, ხან სცემს უროს,
Ღ და,—ჩვენცა მოვუწონოთ, აგრე
იყოს, იმსახუროს.

◆◆

დაბა და სოფელი

(მოწერილი ამბავი)

სოფ. ნიგოითი. (ოზურგ. მაზრა). აგერ 15 წელიწადზედ მეტია, რაც ნიგოითში არსებობს სამინისტროს ერთკლასიანი სასწავლებელი. პირველ ხანებში სკოლა ამ საზოგადოებას აკმაყოფილებდა, მაგრამ დღეს, როცა ხალხში სწავლის სურვილი აღიძრა, სასწავლებელი ვეღარ აკმაყოფილებს სწავლის მოთხოვნილებას. ამასზედ დაერთო სკოლის შენობის დაძველება. წელს გაიმართა რამდენიმე ყრილობა ამ საქმის შესახებ, ბევრი ითათბირეს, მაგრამ, როგორც ყველგან, აქაც გაჩნდა ეგრედ წოდებული „დასდასობა“. საზოგადოდ ორივე „დასი“ იმ აზრის არის და იყო, რომ სასწავლებელი ახალი აშენდესო, ხოლო სად აშენდესო, ეს-კი ვერ გადაუწყვეტიათ. ეხლა სასწავლებელი რკინის გზის სადგურიდგან ერთს ვერსზეა ეკკლესიასთან. ერთს დასს სურს ააშენოს იგი რკინის გზის სადგურთან, სადაც არის სოფლის სამმართველო და ოცამდე დუქანი. სინიდისს ქვეშე უნდა ვაღიაროთ, რომ შუა ადგილი რკინის გზის სადგურთან არის, მაგრამ იქ სასწავლებლის აშენებას ის ნაკლი ექნება, რომ სიახლოვე დაუშლის „კანცელარიისა“ და დუქნებისა; გარდა ამისა, სკოლაში დაწყებულია მეფუტკრეობა, და მაშინ ამას უნდა თავი დაანებონ, რადგანაც რკინის გზის სიახლოვეს აღკრძალულია მეფუტკრეობა, ვერა ჰხეირობს. სკოლა რომ გადიტანონ, იმის ბაღჩაბაღი უნდა გატიალდეს და გაჱერანდეს.

ჩვენის აზრით, ნიგოითს არ გაუჭირდება ორ-კლასიანის სასწავლებლის გაძღოლა. მართალია, დღეს ხალხის სიღარიბეშია, რადგანაც ახალ თავ-დახსნილები არიან, მაგრამ არა მგონია ნიგოითისთანა შემოსავლიანი სოფელი სხვა იყოს გურიაში. აქ არის შეშაზე მუშაობა, აქ არის რკინის გზაზედ მუშაობა, აქ მოდის ბლომად სიმინდი... არ შევცდებით, რომ ვსთქვათ, 6 თუმნის სიმინდს ყველა გლეხი გაჰყიდის ყოველ წლივ. გარდა ამისა სასწავლო ნივთის სასყიდელ ფულებს თვით ბავშვევე აიღებს ხილეულობის გაყიდვით. ბევრი გვინახავს ბავშვი, რომ ერთის შაურის მარწყვი გაუყიდნია და ყარანდაში უყიდნია. ერთის სიტყვით, ოღონდ ნიგოითელები-კი დაფაცურდნენ და ორ კლასიან სასწავლებელს ადვილად გაუძღვებიან. ერთ კლასიანი-კი, როგორც ვსთქვით, არა ჰკმარით, ბევრია მთხოვნელი, „ჩემი ბაღანაი“ მიიღეო, მაგრამ უადგილობის გამო უარს ეუბნებიან. თუ, ვინიცობაა, ორ-კლასიანი სასწავლებელი დაარსდა, მაშინ-კი უნდა შუა ადგილას აშენდეს, რომ არც ერთი მხარე არ დაიჩაგროს.

იმედია, ნიგოითლები დაუფიქრდებიან ამ გარემოებას, თავს შეიტკიებენ ორ-კლასიანის სკოლის დაარსებისათვის და ყოველ წლივ 60 სწავლის მსურველის ცოდვაში არ ჩადგებიან. თუ ეს მაინცა და მაინც არ მოხერხდება, მაშინ კარგი იქნება, რომ ასრულდეს ყოვლად უსამღვდელოესის აზრი, რომელმაც ბრძანა, რომ, დეე, სკოლა ზეით გადაიტანონ და აქ-კი ეკკლესიასთან სამრევლო სკოლა დააარსეთო. იმედია, რომ ქვემო დასი თავს გამოიდებს, სკოლის ბაღჩა-ბაღს არ მოშლის, ძველს სკოლის შენობას შეისყიდის, შეაკეთებს, მოიწვევს ხეირიან მასწავლებელს და სამრევლო სკოლას გაჰმართავს.

აპოლონ ჭანკათელი

◆◆

ნარკვევი

(ჟურნალ-გაზეთებიდგან)

გაზ. „ნოვოე ობოზრენიის“ დღევანდელს ნომერში სჯურადღებო ფელეტონია დაბეჭდილი „მეთვალყურესი“. წერილი შეეხება ისევ იმ ბარაზდინს, რომლის შესახებ ჩვენს გაზეთშიაც არა ერთხელ გვქონია ლაპარაკი და რომელიც ისევ თავისას გაიძახის, ამიერ-კავკასიაში ყაზახი რუსები უნდა დავასახლოთო. აი ეს ლუსმნად აქვს ჩამჯდარი ბარაზდინს ტვინში და არც დღე აძლევს მოსვენებას და არც ღამე. მწერლობს და ისე კალამს არ აიღებს ხელში, რომ ამას არა ჰქადაგებდეს, ამას არა სწერდეს, ამას არ გაიძახოდეს ვაქირულის დაჟინებით. ყოველ ახალ წერილთან ამ საგნის შესახებ სცდი-

---

რქა-წითელი

(კომედია ერთ მოქმედებად)

ფრანგულიდგან

(იხ. „ივერია“ № 172)

სცენა VIII

იგინივე და ივანოვი

ივანოვი. (შემოდის სანთლით) სასურველს მეზობელს გაუმარჯოს!

გიქუა. (ფიცხლავ) ნელა, ნელა, გეთაყვა! ბოთლები არ დაამტვრიო.

ივანოვი. (ქალებს) ძვირფასო მეზობელნო, ხომ არ შეგაწუხეთ ჩემის მოსვლით?

გიქუა. რას მიბრძანებთ, სულაც არა! უნდა მოგახსენოთ, მე გადავწყვიტე დღეს უეჭველად გადავიღო ბოთლებში რქა-წითელი... მაგრამ არა უშავს-რა... დიდი საქმე არ არის... მობძანდით მაღლა, სახლში სჯობია.

ივანოვი. (წინ გადაუღობავს). თუ ღმერთი გწამს, ჩემთვის ნუ შესწუხდები. რა საჭიროა ზემოდ ასვლა! მეზობლებში მაგეთი ცერემონიები როგორ იქნება. ამასთანავე, სარდაფშიც ძრიელ კარგია.

გიქუა. (ანეტას) მაშ მიართვი სტუმარს საჯდომი რამ, დაბძანდეს!

ანეტა. (ტაბურეტკას მიართმევს) აი, ტაბურეტკა! (ისევ დედასთან მივა).

გიქუა. (ივანოვს) მაშ, აბა, დაბძანდით, გეთაყვა! (ხელიდამ სანთელს გამოართმევს) სანთელი მიბოძეთ აქა! (შეუბერავს თავისთვის) რა საჭიროა, ორი სანთელი არ ენთოს! ერთიცა კმარა. (სანთელს ჯიბეში ჩაიდებს).

ივანოვი. (დაჯდება) ის, აქ ჩინებულად ჰყოფილხართ მოწყობილი... მე ასე არ მეგონა... თან აქ ბევრად გრილა, ვიდრე გარედ...

ანეტა. (თავისთვის) ვითომ მართლა აქ სიგრილის მეტი არა მოსწონსრა!.. აი, ჩაგქოლე!..

ივანოვი. ზამთარში-კი, უეჭველია, აქ უფრო ეთბილება... მართლა, ვარაუდი არ გაგიწევიათ, რომ ზამთრობით აქ უფრო თბილა, ვიდრე ქუჩაში?

გიქუა. მართალი ბძანება გახლავთ. როგორ არ გამიწევია! ჰკვიანი კაცი ჰყოფილხართ. (თავისთვის) მოდი შენა და ამას ემასლაათე!

ივანოვი. (ჯიბიდამ რაღასაც ქაღალდში შეხვეულს ამოიღებს) უკაცრაოთ-კი არ გახლდეთ, მშვენიერთ-ქმნილებანო, და მიირთვით ჩემგან ეს მცირეოდენი შესაწირავი. იშვიათი რამ გახლავთ...

ანეტა. რა უნდა იყოს ნეტა?

ივანოვი. (გახსნის ქაღალდს). ეს გახლავთ მარწყვი, საგანგებოდ გარშოკში მოყვანილი. გაგიგონიათ მარწყვი მარტში?.. მე თითონ მოვიყვანე.

გიქუა. უჰ, რათი უნდა გადვიხადო თქვენი პატივისცემა!

ივანოვი. (ფეხზედ წამოდგება). ეგ მარწყვი წელს პირველია! ჯერ არავის ექნება მარწყვი დაძლეული, და მეც ვეცადე, რომ ყველაზე ადრე თქვენ დაგეძღვნათ. ჩემი სახლი ძრიელ თბილია... ჰო, არც-კი აქა ცივა. (ქალებს თავაზიანად) არიან ისეთნი ქმნილებანი, რომელთა სიახლოვეში არასოდეს არ შესცივა კაცს.

გიქუა. (თავისთვის) ვა, ეს ძალიან კომპლიმენტების უსტაბაში გამოგვადგა!

ელისაბედი. (თავისთვის) რა უსირცხვილოდ შემომხედა ამ სალახანამ! თვალი თვალში გამიყარა, რაღა!

ივანოვი. (მიაწვდის ელისაბედს გარშოკს) ძვირფასო მეზობელო, მიირთვით მარწყვი.

გიქუა. (გამოართმევს გარშოკს) დიდი, ძრიელ დიდი პატივისცემაა თქვენგან.

ივანოვი. უკაცრაოთ, გარშოკს ვერ დავთმობ. თქვენ ხილი იხილეთ და გარშოკს-კი მე შინვე წავიღებ.

გიქუა. (მიაწვდის გარშოკს) ინებეთ, გეთაყვა. (თავისთვის) ძალიან საჭიროა ჩემთვის შენი გარშოკი, შენი თავის მზემ!

ივანოვი. აბა, ეხლა ჰბრძანეთ, როგორ მოგწონთ ჩემი მარწყვი?

გიქუა. საუცხოვოა, მხოლოდ ცოტა როგორღაც თითქო პრასის გემო დასჩემებიაო.

ივანოვი. ეგ სულ იმის ბრალი გახლავთ, რომ გარშოკში ქუჩის მიწა ჩავყარე და შიგ ნეხვი მოჰყვა...

ანეტა და ელისაბედი. (დაიღმიჭებიან, თავისთვის) ფუი, შეგირცხვეს ნამუსი!..

ივანოვი. მერე ბრჩხილებსაც სულ მაგ გარშოკზე ვიჭრიდი ხოლმე.

გიქუა. (თავისთვის) რა ძალიან სულელია ეს ყურუმსაღი-და! (უცებ) აბა, ერთი სტაქანი ღვინო უნდა მიირთვათ. რქა-წითელი დამიყენებია, რომ სულ ცას გააწითლებს. ცოტა ტარხუნა შეატანეთ, გემოსთვის კარგია!

ივანოვი. ეს-კი იყო, ყავა გიახელით, მაგრამ რა გაეწყობა...

გიქუა. ანეტა, უბრძანე ივანიკას, ეხლავ ტარხუნა და ახალი ყველი ჩამოიტანოს.

ანეტა. ემ საათში. (მიდის ზევით).

გიქუა. მაშ მე კიდე წავალ და სტაქნების თადარიგს შევუდგები... ეხლავ აქა ვარ... იქითა ოთახში აწყვია... ემ წუთას... თქვენ-კი მანამდე, თუ მოახერხოთ, იმუსაიფეთ ელისაბედთან. (გადის თავ-ღვინის ოთახში).

სცენა IX

ელისაბედი და ივანოვი

ივანოვი. დავრჩით მარტონი და მეც ეს მინდოდა.

ელისაბედი. მოწყალეო ხელმწიფევ!..

ივანოვი. ბალკონიდამ შეთვალიერებული მყავს თქვენი ცქრიალა ქალი. თვალი არ მომიშორებია მისთვის და ვიცი, რა ძვირფასი ვინმეც არის ანეტა. (გულზე დაიდებს ხელს) აქ მიზის თქვენი ქალი, აი ამ ადგილას!...

ელისაბედი. ყმაწვილო, ფთხილად!.. არავინ შემოგვესწროს.

ივანოვი. ჩემი გულის წადილი, ჩემი ცხარე სურვილი და ნატვრა ის არის, რომ ანეტას ქმარი გავხდე... (ხელში ხელს წაავლებს ელისაბედს) თუ ღმერთი გწამთ, ნუ ჩასდგებით ჩემს ცოდვაში და ნუ გამაგონებთ უარს!..

ელისაბედი. (გამოჰგლეჯს ხელს). კმარა, მეთქი, ყმაწვილო! თორემ იცოდეთ, თუ კიდევ გამიბედეთ რამ, მეტი აღარ შემიძლიან... ვერ მოვითმენ და, როგორც ერთგული ცოლი, გაგამჟღავნებ ჩემს ქმართან.

ივანოვი. ძალიან კარგი, მეც ხომ ეგ მინდა, რომ გიქუას შეატყობინოთ.

ელისაბედი. (დაინახავს გიქუას) ჩუმად, ჩუმად! აგერ ისიც მოდის!

სცენა X

იგინივე და გიქუა, მერე ივანიკა და
ლელო კეფხაური

გიქუა. (შემოდის და შემოაქვს სტაქნებით სავსე კალათა) ესეც სტაქნები! (დაასხამს სამს სტაქანს) აბა, ერთი ვნახოთ, როგორი დადგა ჩვენი რქა-წითელი... ვენაცვალე სულში ამის მამგონს... ესკია, პირდაპირ უნდა მითხრათ, კარგი დამდგარა ჩემი ღვინო, თუ არა. (აწვდის სტაქნებს ივანოვსა და ელისაბედს) ეს რქა-წითელი ჩემ საკუთარ ვენახში დავწურე ამ ოთხის წლის წინად... აბა, თქვენი გამარჯობისა იყოს!...

ივანოვი. (დააჯახებს სტაქანს გიქუასა და ელისაბედის სტაქნებს) ქალბატონო!... ჩემო ძვირფასო მეზობელო, ღმერთმა გაცოცხლოთ... (თავისთვის) ეს რა უცნაური ვიზიტი გამოვიდა! (სამნივე ჰსმენ და გემოსა ჰსინჯავენ).

გიქუა. აბა, როგორ მოგწონთ ჩემი რქა-წითელი?

ივანოვი. ჰო, ღვინო კარგია!... არა უჭირს-რა, მაგრამ თითქო როგორღაც სხვა ნაირი გემო აქვსო... არც თუ ჰარხლისა...

ელისაბედ. ქა, რატო ისეთი კირის გემო აქვს ამ ღვინოს!...

გიქუა. აი გამიწყრა ღმერთი!...

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლობს ახალი საბუთი გამოუძებნოს თავისს აზრს. აი ეხლა კიდევ ჟურ. „Русскій Вѣстникъ"-ის მე-VII №-ში დიდად ვრცელი და გახიახებული წერილი დაუბეჭდია ამ კატკოვის მიმართულების დევგმირს შემდეგის სათაურით: „Переселенцы въ Закавказьи". ტფილისის გაზეთიც აი ამ წერილს შეეხება. ბ-ნს ბარაზდინს ეხლა კიდევ ახალი საბუთი გამოუძებნია თავისის აზრის დასამტკიცებლად, და მერე რომ იცოდეთ, რა უცნაური, რა ახირებული და რა გასაცვიფრებელი საბუთი!

> მანგლისი და დედოფლის წყარო ერევნისა და გრუზინსკის პოლკების სადგომად ერმოლოვის დროს პოლკის უფროსმა ნ. ნ. მურავიოვმა ააშენაო, მოგვითხრობს ბ-ნი ბარაზდინი: როცა იგივე კავკასიის მთავარ-მმართებლად იქმნა დანიშნული 1855 წ., ინახულა მანგლისი და ჯარის სადგომებს დაუწყო სინჯვა. აქ დახვდნენ მოხუცებულნი, რომელთაც მასთან ერთად ემსახურნათ და რომელნიც თითქმის სათითაოდ ახსოვდა. დიდად გულის ამაჩჩვილებელი იყო ეს სურათი. მურავიოვი იმათთან სახლშიაც შევიდა, იმათი ოჯახი დაათვალიერა, ჰნახა იმათი ყმაწვილებიც, რომელნიც პოლკის სასწავლებელში სწავლობდნენ წერა-კითხვას, გამოსცადა: ყმაწვილებთან ლაპარაკში შუადღემდე გაატარა. სალამოზედ ერევნის ჯარში ნამსახურებმა თავისი „ბიძია" აბანოზედ დაჰპატიჟეს და აქაც კაი ამბავი ელოდდა: მის საბანებლად აქაც ის ჯარის მედოლე მოვიდა, რომელსაც, ვინ იცის, რამდენჯერ უბანებია. „ეფრემოვ, შენა ხარო?—"დაიძახა გულ-ამომჯდარმა მოხუცმა, და ნ. ნ. თვალზედ ცრემლ-მორეული გადაეხვია უწინდელს ჯარის მედოლეს".

განა რომ კარგი და გულის მოსალბობი ამბავია! მერე რაო? ისაო, რომ ექედგან ბ-ნს ბარაზდინს თავისის ფილოსოფიით სულ სხვა დასკვნა გამოჰყავს: ამ უბრალო ამბავსაც იმად ჰხმარობს, რომ აქედგან საბუთი უნდა გამოაკვესოს რუს-ყაზახების კავკასიაში დასახლებისა. საკვირველია განა? საკვირველიც არის და საოცარიც. აბა, მოუსმინეთ:

> რუსს კავკასიელისათვისაო,—ღრმად ჰფილოსოფოსობს ბ-ნი ბარაზდინი—ამ ამბავს დიდი, ფრიად დიდი მნიშვნელობა აქვს. მაშასადამე, ამიერ-კავკასიაშიაც ყოფილა ისეთი ადგილები, სადაც დაცულ და ფესვმაგრად შენახულ იყო რუსული ტრადიციები (?), სადაცა ათიოდ-ოციოდე წლის შემდეგ მახლობელთა (?!) ნახვა შეიძლებოდა. აბა, როგორ არ უნდა სცდილიყვნენ და არ გაეძლიერებინათ ასეთი ადგილები? ჩვენი მეცნიერები-კი სულ სხვასა ჰფიქრობდნენ და ერთის კალმის მოსმით გააუქმეს ეს ადგილები.

წარმოიდგინეთ, ამ რუსთა მიერ დაჭერილს ადგილებს პატრონი ჰყავდა თურმე და ის პატრონები თხოულობდნენ, რომ ჩვენი ადგილები ან ისევ დაგვიბრუნეთ და ან ღირებული ფასი მოგვეცითო. სამხედრო სამინისტროც ადგა და ისევ ჩააბარა თავისი მამულები. აი, ამ სამხედრო სამინისტროს უკიჟინებს ბ-ნი ბარაზდინი მეცნიერების სახელით. მაშ რა უნდა ექმნათ, ხალხისათვის საკუთრება უნდა წაერთვათ რაღა და შეუწყნარებელი უკანონობა და უსამართლობა ჩაედინათ? ბ-ნს ბარაზდინს კანონიცა და სამართალიც ბუზის ათრენად არ მიაჩნია, ოღონდ-კი რუსული, ორთქლის აბანოები ჰნახოს ამიერ-კავკასიაში. იმისი იდეალი სამხედრო ხალხის დასახლებაა კავკასიაში, რუსეთიდგან აქ ყაზახების გადმოსახლებაა და თუ ეს საქმე აქამდე ვერა ხერხდება, ეს სულ ადმინისტრაციის ბრალია, იმას რომ ჰკითხოთ. ბ-ნი ბარაზდინი არც ისტორიას უგდებს ყურს, რომელმაც ასე უმსგავსად გადასახლებას ხალხისას დიდი ხანია თავისი მსჯავრი დასდო, არც მეცნიერებასა და არც წარსულს გამოცდილებას. სამართლიანად ამბობს ბ-ნი მეთვალყურე:

> მართლაც-და, განა სათქმელია ის, რომ დიდ-ძალი დაუსახლებელი ადგილებია ამიერ-კავკასიაშიო, სადაც, „კავკასიის კალენდარის" ოფიციალურის ცნობებით, ყოველ ოთხ-კუთხ საჟენზედ 22 კაცი მოსახლე მოდის. ამავე დროს შიდა რუსეთში, საიდგანაც მოდიან გადმოსახლებულნი, 18 კაციც არ ასახლია. ესეც არ იყოს, იმავე ოფიციალურის ცნობებით სჩანს, რომ ორის დღიურის მიწის ფასი, მაგალითებრ, ქუთაისის გუბერნიაში 2,000 მან. უწევს.
>
> მართალია, შავის ზღვის ნაპირები და ყარსის ოლქი შედარებით ძალიან არ არის დასახლებული და იქ მართლაც შეიძლება რუსეთის შიდა გუბერნიებიდგან გადმოსახლებულთა დასახლება, თუნდა ადგილობრივ მკვიდრის საჭიროებაც რომ არ ვიქონიოთ მხედველობაში. კარგი, მაგრამ განა ერთხელ და ორჯელ დარწმუნდნენ გამოცდილებით ყველანი, ბ-ნ ბარაზდინისთანა ფანტაზიორებს გარდა, რომ სწორედ ეს ადგილებია უფრო ნაკლებ გამოსადეგი რუს გადმოსახლებულებისათვის? თვით ამ ადგილებში დასახლებულნი გარბიან აქედგან და იმედ-გაქსუებულნი ბრუნდებიან თავის წინანდელ ბინაზედვე.

დარწმუნდნენ, ჰნახეს, შეიგნეს, მაგრამ... ბ-ნს ბარაზდინი და შეგნება განა მოთავსდებიან ერთად. იმას ერთი და ერთი თავისი დაუხვევია თითზედ და იმას გაიძახის, შეგნებასთან, გამოცდილებასთან, წარსულ მაგალითთან რა ხელი და საქმე აქვს აბა?!. სადაც კაცი იმას ჰქადაგებს, რომ ადგილობრივ მკვიდრისათვის უნდა წაგერთმიათ მამულები და ჯარში ნამსახურ რუსებისათვის დაგერიგებინათო, იმასთან განა გონიერებასა და შეგნებაზედ ლაპარაკი-და შეიძლება და განა იმას სამართლიანად სჯა-და მოეთხოვება?!.

რუსეთი

რადგანაც რუსეთის რკინის გზების წარმომადგენელთა საერთო სატარიფო კრებამ საზოგადო კანონები არა შეიმუშავა-რა შესახებ ცოცხალ შინაურის ფრინველის გადაზიდვ-გადმოზიდვისა, ამიტომ ფინანსთა სამინისტრომ სათანადო შესაფერი განკარგულება მოახდინა ამ სანგის შესახებ. მინისტრის განკარგულებას საგნად ისა აქვს, რომ ხელი შეუწყოს ფრინველების მოშენებასა და გააძლიეროს ვაჭრობა ფრინველითა. ამ განკარგულების ძალით, ფრინველების რკინის გზით გადაზიდვისათვის შემცირებული გარდასახადია საჭირო ე. ი. ვაგონიდგან ვერსზე 10, 15, $17^{1}/_{2}$ და 20 კაპ. ესევე გარდასახადი გადახდებათ ფრინველების მსწრაფლის მატარებლით გამგზავნელთაც. თუ ფრინველის გასაგზავნად რაიმე მოწყობილება იქნება საჭირო, ამ მოწყობილების უკან წამოღების დროს რკინის გზა გარდასახადს არაფერს გამოართმევს.

— ცალკე კომიტეტია შემდგარი, რომელმაც 1892 წ. აპრილში რუსეთის საცეცხლის-მქრობელო გამოფენა უნდა გამართოს. ამ კომიტეტმა უკვე გამოაცხადა ზოგიერი ცნობანი შესახებ 1892 წ. განზრახულის გამოფენისა. როგორც ამ ცნობებიდგანა სჩანს, გამოფენაზე სულ შვიდი განყოფილება იქნება: ა) ღონისძიებანი და იარაღები ცეცხლის გაქრობისა; ბ) სხვა-და-სხვა მანქანები და წამლები ცეცხლის ქრობისა; გ) იარაღები ცეცხლისაგან ხალხის გადარჩენისა; იარაღები ცეცხლის საქრობ მანქანების გადასატან-გადმოსატანისა. ცეცხლის მქრობ დასთა შედგენა, სასტატისტიკო ცნობანი და ლიტერატურა ცეცხლის ქრობის შესახებ და სხვ... გამოფენაში მონაწილეობას მიიღებენ როგორც რუსეთის, ისე უცხო სახელმწიფოების ქვეშევრდომნიც, მაგრამ კონკურსზე-კი მხოლოდ რუსეთის ქვეშევრდომნი იქნებიან. ვისაც მონაწილეობა ჰსურს მიიღოს, შეუძლიან განცხადება წლევანდელის წლის ენკენისთთვიდამ შეიტანოს. უცხო სახელმწიფოთა ქვეშევრდომთ შეუძლიანთ გამოფენაზე თავიანთ ნივთები მოიტანონ, მაგრამ იმ პირობით-კი, რომ გამოფენის გათავების შემდგედ ისევ უკან წაიღონ. ამ ნივთების მოტანასა და წაღებაზე რუსეთის რკინის გზები გადასახად არ გამოართმევენ.

— საცეცხლის-მქრობელო გამოფენის დროსვე პეტერბურგში მოხდება კრება ცეცხლის ქრობის საქმის მცოდნეთა. ამ კრებაში მონაწილეობას მიიღებენ წარმომადგენელნი სხვა-და-სხვა სახელმწიფო და საზოგადო დაწესებულებათა წარმომადგენელნი, წევრნი სატეხნიკო საზოგადოებათა, სწავლულნი და სხვ. ამ კრების პროგრამის შედგენა-შემუშავებას უკვე შეუდგნენ.

წერილი რედაქციის მიმართ

თქვენის გაზეთის მე-165 №-ში შენიშვნა იყო მცხეთის საჯარო წიგნთა საკითხავის შესახებ. შენიშვნის დამწერი ამბობს, რომ: „ეს ერთი წელიწადია, რაც ჩვენში გაიმართა წიგნთ-საცავი, რომელიც შეიცავს როგორც ქართულს, ისე რუსულს წიგნებსაო". მართალია, აქ გაიმართა საჯარო წიგნთ-საცავი ორს

ქვიშას დაულუპნივარ... გადამიჭარბებია!...

ივანიკა (შემოდის) ბატონო, ვიღაც ყმაწვილია... აი კარტოჩკაც.

გიქუა. (კითხულობს) ლეო ვეფხვაური! (თავისთვის) დამეკარგოს ერთიდა! რა მევეფხვაურება, ლამის ყელი გამოვიჭრა!... კაცია და სასიძო რაღა!... (ივანიკას) სთხოვე, ზალაში მიბრძანდეს.

ივანიკა (წასვლას აპირობს) აგერ თითონაც მობრძანდება! (ლეო შემოვა და ხელში სანთელი უჭირავს. ივანიკა გავა).

ლეო. (მიესალმება ელისაბედს) ქალტონს ვახლავარ!...

გიქუა (სწრაფად) ფრთხილად, თუ ღმერთი გწამს!... ბოთლები აწყვია!..

ლეო (ივანოვს) ძვირფასო მასპინძელო! იმედი მაქვს, მოწყალე იქნებით ჩემი... (ჩუმად ანიშნებს გიქუაზე, რომელიც ბოთლებს აწყობს) ამ მეპადვლეს უბრძანეთ, რომ გავიდეს აქედამ... მე თქვენთან საიდუმლო რამ მაქვს მოსალაპარაკებელი...

ივანოვი. ეგ მეპადვლე-კი არა, თვით მასპინძელი გახლავთ!

ლეო (გიქუას) აჰ, უკაცრაოდ, ბოდიშს ვიხდი! რატომ ვერ მივხვდი!..

გიქუა. საბოდიშო მე მაქვს, რომ კაბა არ მაცვია და ამ სახით დაგხვდით!... მიბოძეთ აქა!.. (გამოართმევს სანთელსა და გააქრობს).

ლეო (ელისაბედს, რომელიც ივანოვს გაუვლის ახლო) ჩინებული სადგომი გქონიათ, ბატონო ჩემო.

გიქუა (ლეოს) თავს ნუ შეიწუხებთ, ჩემი ელისაბედი ყურზე ცოტა მძიმედ გახლავთ... (ივანოვს) ჩემო კარგო მეზობელო, საწყენად-კი არ ჩამომართვათ, და მე ცოტა სალაპარაკო მაქვს ამ ყმაწვილ-კაცთან. თუ შეიძლებოდეს პატარა ხანს თქვენ და ელისაბედი მიბძანდით ბაღში, გაისეირნეთ.

ივანოვი. დიდის სიამოვნებით! (ხელს მიაწვდის ელისაბედს). ქალბატონო, მიბოძეთ თქვენი ხელი...

ელისაბედი, ხელი არ მახლოთ, ყმაწვილო! (გაუსხლტება ხელიდგან და საჩქაროზე აირბენს მაღლა).

ივანოვი. (უკან მისდევს. თავისთვის) რა ვჰქნა, ამ დედაკაცს რა დაჰმართვია!.. ხომ არ გაგიჟებულა!..

სცენა XI

გიქუა, ლეო, შემდეგ ივანიკა და არშაკ მორთულიანცი

გიქუა (ლეოს) უკაცრაოდ-კი ნუ ვიქნები, და მე პირდაპირი ლაპარაკი მიყვარს. ასეთი ხასიათისა გახლავარ. რა ვქნა, მე მოცლილი ადამიანი არა ვარ. აი დღესაც-კი გაცხარებული საქმე მაქვს—რქა-წითელი უნდა გადავიღო ბოთლებში... თქვენ, მგონი, გწადიანთ შეირთოთ ჩემი ქალი. მართალს ვამბობ თუ არა?

ლეო. უნდა მოგახსენოთ, რომ მართალსა ჰბძანებთ.

გიქუა. კარგი და პატიოსანი! მაშ რა-კი მაგრეა, ორიოდე სიტყვა უნდა გკითხოთ. იქნება ცოტა საჩოთიროც იყოს, მაგრამ უმისოთ საქმეს ვერ გავათავებთ.

ლეო. თქვენის სამსახურისთვის მზად გახლავართ, მიბრძანეთ. (თავისთვის) ამ კაცს რა დაჰმართვია! სარდაფში უნდა მომელაპარაკოს!?..

გიქუა. მოგეხსენებათ, ქალის გათხოვება ისეთი საქმეა... ისეთი საქმეა... ჰო, ძნელი საქმეა, რაღა... ამის გამო მამამ უნდა იცოდეს... მამა მოვალეა შეიტყოს... აბა, ახალგაზდა კაცს შუბლზე ხომ არ აწერია... ადამიანი გარედამ ვერ იცნობა... შეხედვით ყველანი კარგები ხართ, მეტადრე როცა მოირთვებით.

ლეო. (თავისთვის) რას გაუგიჟებია ეს კაცი! ტანისამოსი-კი არ გამახდევინოს აქა.

ივანიკა. (მარდად ჩამოდის, მიირბენს გიქუასთან და ყურში) კიდევ ვიღაც მოვიდა!

გიქუა. რაო?

ივანიკა (ყურში) კიდევ ერთი ახალგაზდა კაცი მოვიდა თქვენსა. აი მისი კარტოჩკა. (განზე გადგება).

გიქუა. (კითხულობს) არშაკ მორთულიანცი! (თავისთვის) ისიც მოთრეულა! არა, არა! ამათ ერთმანეთი არ უნდა ნახონ! (ხმა-მაღლა ლეოს) უკაცრავად, ჩემი არხიტექტორი მოსულა... თუ შეიძლებოდეს, ცოტა ხნით თავი დაგვანებეთ... აგერ, თავი-ღვინის ოთახში გაბძანდით... მოველაპარაკები და რამწამს გავისტუმრებ, მაშინვე დაგიძახებთ...

ლეო. როგორ! რას მიბრძანებთ!...

გიქუა. (სანთელს აანთებს და ხელში ჩაუდებს) მიბძანდით, გეთაყვა, დაათვალიერეთ, როგორია ჩემი თავი-ღვინის ოთახი, გასინჯეთ თახჩების მოწყობილობა... იმ ოთახში ძრიელ გულ-გადასაყოლებელი რამეებია, მეტადრე თქვენისთანა ახალგაზდისათვის, რომელმაც ჩქარა თავისთავად უნდა იცხოვროს... თავის ოჯახით. ერთ წუთზე ისევ გამობრძანდებით...

ლეო (თავისთვის) ეს რა უცნაური მოლაპარაკებაა-ად! მერე ისიც ცოლქმრობის თაობაზე! (გადის მარცხნივ).

გიქუა. (ივანიკას) აბა, ახლა ამის ფეხს დაუძახე, ერთი ისიცა ვნახოთ.

ივანიკა. (კიბიდამ) მობძანდით, მობძანდით! გიქო კარაპეტიჩი სარდაფში ბძანდება. (არშაკ ჩამოდის კიბეზე, სანთელი უჭირავს ხელში. ივანიკა გადის).

არშაკა. (მიესალმე) პატივმა მაქვს...

გიქუა. (თავს დაუკრავს) ყმაწვილო კაცო, მე კარგად ვიცი, რისთვისაც მოსულხართ... (შეჰნიშნავს ხელში სანთელს) უკაცრაოდ, არ არის საჭირო, რომ მეორე სანთელიც ენთოს. (გაუქრობს სანთელს, გამოართმევს, წაიღებს და სხვა სანთელთან დასდგამს, მერე, ისევ არშაკასთან მივა) ჰო, მე ვიცი მიზეზი თქვენი აქ მობძანებისა...

არშაკა. რა ვქნა, ვერ დავმალავ. მე ძალინ მომწონს თქვენმა ქალმა.

გიქუა. (თავისთვის) რაო? თქვენმა ქალმა მამწონსო! ერიჰა! ეს სწორედ ყარაბაღულათ ამტვრევს სიტყვებს!...

არშაკა. მართალმა გეტყვი... ჩემი გული ბუდეში არ დამიდგა, თქვენი ქალი არ იცის აქ როგორი ცეცხლია, გულში!...

გიქუა. რის ცეცხლი, სადაური ცეცხლი! ჩემმა ქალმა მართლაც რომ მაგისთანებისა არ იცის-რა. ჩემი ქალი მარტო დარბაისლურ სიტყვა-პასუხს გაიგებს. ცეცხლი რასა ჰქვიან! თორნე ხომ არა ხარ! გალანცკის ფეჩი ხომ არ ჩაგიდგეს გულში!

არშაკა. თქვენ სომხურმა არა გცოდნიათ, და მე ქართულმა შუა ბაზარში ვისწავლე.

გიქუა. ჰო, შუა ბაზარში! ეგ სულ სხვა საქმეა!...

არშაკა. თქვენმა ქალმა ძალიან მიყვარს, მეთქი. Вашею дэвыцу угрызалъ нашу сэрдцу.

გიქუა. არც-კი რუსული გისწავლიათ პეტერბურღში!... მაგრამ ცოტა დაბლა... იქით ოთახში ჩემი არხიტექტორია და არ გაიგონოს.

არშაკა. Зачымъ архытоктуръ, какой архытоктуръ маркытоктуръ!

გიქუა. რას ამბობ, ყმაწვილო?

არშაკა. რაზი მი ნი ზნაიმ! იმანაც თქვენმა ქალმა უყვარს!

გიქუა. აბა, რასა ჰბძანებთ, ჩემი ქალი-კი არა!

არშაკა. ვა, მე ვიცი-და! გუშინ ტილიპუჰურასთან გავზნაკომდით. ერთ ოთახში დავმსხდარვართ, პურმა გვიჭამია, ღვინო დაგვილევნია. მე ვთქვი—გიქუას ქალმა მიყვარს, იმან თქვა მეც ის მიყვარსო. მე ვუთხარ—ხვალ გიქუასთან ვარ-მეთქი, იმან თქვა—მეც იქა ვარო. ეს იყო, რაღა!

გიქუა. ვერ უყურებთ, ეს რა ამბებია!...

არშაკა. ვა, აქ დაუძახე, ერთი მოვიდეს-და! უფრო კარგი იქნება... მეც შამამხედე, იმანაც შაჰხედე... каму лучи будетъ, выбираитъ, რალა!...

გიქუა. მაშ რა-კი მაგრეა, აბა ალარა გაეწყობა-რა... (მავა მარცხენა კართან) ბატონო ვეფხვაურო! ყმაწვილო, ჩვენთან გამობძანდით?...

(შემდეგი იქნება)

თიბათვეს, როგორც იყო გამოცხადებული თქვენს გაზეთის მე-120 №—ში. მაშა სადამე, ორი თვეა და არა ერთი წელიწადი.

მეორე: „ჩვენი წიგნთ-საცავი უკიდურესს მდგომარეობაშია ჩავარდნილიო“. ამაზედ მე ვერას ვიტყვი, რადგანაც წიგნთ-საცავი მე მაბარია და ეს თავის ქება გამოვა, მხოლოდ მივანდობ სხვა საზოგადოებას და ამათ გასაჯონ წიგნთ-საცავის მდგომარეობა. მე მარტო ამას ვიტყვი, რომ წიგნთ-საცავში არის 165 წიგნამდე შემოწირული (გამოცხადებული იყო მე-121 №-ში); ვიღებთ ჟურნალ-გაზეთებს უსასყიდლოდ: „ნოვოსტს“ „კასპს“ და ვიხდით მარტო ფოსტის გადასახად ფულს შემდეგ გაზეთებისას: „ნოვოე ობოზრენიე“ ორი ეგზემპლიარი, „ივერია“ „ტფილისის ლისტოკს“ „რუსკია ვედომოსტს“ ჟურნალ „სევერნი ვესტნიკს“ „მეურნეს“, და ამ დღეებში მივიღებთ „ჯეჯილსაც“, ამ ზემო ხსენებულ ჟურნალ-გაზეთებით საზოგადოება სარგებლობს უსასყიდლოდ.

შენიშვნაში სწერია, რომ: „ამდენი ხანია ანგარიში არ წარმოუდგენიაო“. ეს ბრალი-კი არ ვიცი საიდგან გამომტყვრალა. მე ვგონებ, ის დამფუძნებელი საზოგადოება, რომელმაც მოინდომა ანგარიშის გაგება, მე მომმართავდა სიტყვით და თუ მე სურვილს არ ავუსრულებდი, რასაკვირველია, მაშინ ნება ჰქონდა გაზეთშიაც გამოეცხადებინა. ჩემთვის არავის უთქვამს და მე-კი გულთმისანი არა ვარ, რომ იმათი სურვილი ამესრულებინა. ეხლავეც წარვადგენდი ანგარიშს დამფუძნებელ საზოგადოების წინაშე, მაგრამ, ჩემდა საუბედუროდ, ამ ხანად აქ არ არიან, გარდა ერთისა და ორის წევრისა. თუ შენიშვნის დამწერს მიჰმართა დამფუძნებელმა საზოგადოებამ, რატომ მე-კი არ მომმართა? ან არადა, ბ-ნმა კორესპონდენტმა რატომ მე არ მითხრა, ეს და ეს ანგარიშს თხოულობსო. ეთქვა ჩემთვის და მაშინვე აუსრულებდი თხოვნას.

არც ერთი შენიშვნაში ნათქვამი სიტყვა მართალი არ არის და უეჭველად შეცდომით არის დაწერილი. ვურჩევ ბ-ნს კორესპონდენტს, ჯერ დაწვრილებით გაიგოს ჩვენის წიგნთ-საცავის ვითარება და მერე ისე სწეროს და ისე მოინდომოს საზოგადოებაში სჯა ამ საგნის შესახებ *).

ბარისაშვილი

მცხეთა

◆

დეპეშა

13 აგვისტო

პეტერბურგი. გამოცხადებულია საფინანსო მინისტრის განკარგულება, რომ საზღვარ გარედ გასატან ხორბალში შეიძლება არევა ჭვავისა, მაგრამ არა უმეტეს $3^0/_0$, ხოლო სხვა პურის მარცვალში $2^0/_0$. ქატოს არევა-კი $1^0/_0$ მეტი არ შეიძლება.

ბერლინი. მერზენბურგში საქსონიის პროვინციის ლანდტაგმა სადილი გაუმართა იმპერატორ ვილჰელმს. იმპერატორმა იმის იმედით წარმოსთქვა, რომ სოფლის ხალხი წინანდებულად ალყვავებაში იქნებაო და შემდეგი სიტყვები დაუმატა: „ჩვენ ყველას იმედი გვაქვს, რომ შვიდობიანობა არ დაირღვევა, მაგრამ საქმემ თუ სხვა მიმართულება მიიღო, ჩვენი ბრალი არ იყოს ამაში“.

პარიჟი. პორტსმუტში საფრანგეთის ესკადრას ნახვის შემდეგ, დედოფალმა ვიქტორიამ პრეზიდენტს კარნოს მისალოცი დეპეშა გაუგზავნა; ამის პასუხად კარნომ მადლობა უძღვნა დედოფალს.

დანიის ელჩმა ოფიციალურად ჩააბარა დღეს ფონტენებლოში პრეზიდენტ კარნოს სპილოს ორდენის ნიშნები.

კოპენჰაგენი. დღეს, ნაშუადღევის $2^1/_2$ საათზე აქ მობრძანდნენ საიმპერატორო იახტაზე „Полярная Звѣзда“ მათი იმპერატორებითი უდიდებულესობანი უავგუსტოესის შვილებითურთ და საბერძნეთის დედოფლით. მეფენი დანიისა და საბერძნეთისა, დანიის მემკვიდრე პრინცი და პრინცები ვილჰელმ და იულიუს შლეზვიგ-ჰოლშტეინისა მიეგებნენ უდიდესს სტუმართ სამეფო იახტაზედ „Danebrog“-ზედ, რომელსაც ახლდა დანიის ჯავშნიანი ესკადრა. „Палярная Звѣзда“-ზედ რუსეთისა საიმპერატორო შტანდარტისა და საბერძნეთის სამეფო ბაირაღის გარდა დანიის სამეფო ბაირაღიც ამართეს. ზღვის ნაპირზედ გამართულმა ზარბაზნებმა და დანიის ესკადრამ მიგებების შედლული გადუხადეს „Палярная Звѣзда“-ს, რომელმაც „Danebrog“-თან ერთად გაიარეს ბოლოზი. ნავთსადგურზედ უავგუსტოეს სტუმრებს მიეგებნენ დანიის დედოფალი და მემკვიდრე პრინცესა, უელის პრინცესა, პრინც ვოლდემარის მეუღლე, დანიის ყველა მინისტრები, ელჩები, სასახლის კაცნი და სამხედრო და სამოქალაქო დაწესებულებათა წარმომადგენელნი. აქვე დარაზმული იყო საპატიო ყარაული, რომლის მეთაურად იყო დანიის პრინცი ხრისტიანე. მათი უდიდებულესობანი მიესალმნენ საპატიო ყარაულს, ზოგიერთ დამსწრეთ და შემდეგ რკინის გზის სადგურზედ წავიდნენ ფრედენსბორგში გასამგზავრებლად. სახლები მორთული იყო ბაირაღებით და, თუმცა ძლიერი და განუწყვეტელი წვიმა მოდიოდა, მაგრამ ქუჩებში დიდძალი ხალხი იყო, რომელიც გამარჯვების ძახილით უხვდებოდნენ მათ უდიდებულესობათ. სასახლის მატარებელს, რომლითაც მათი უდიდებულესობანი გაემგზავრნენ ფრედენსბორგში, შეადგენდა: ორი სასტუმრო ვაგონი, 3 კუპე-ვაგონი და ორიც საბარგო. ორთქლმავალი ბაირაღებით იყო მორთული, სადგურიც ბაირაღებითა და ყვავილებით.

ეტეპრბურგის ბირჟა, 13 აგვისტო

	მყიდველისა.	გამყიდველისა.	გაყიდულისა.
	მან. კ.	მან. კ.	მან. კ.
ხუთ-მანათიანი ოქრო .	7, 80	7, 84	— ,,
ტამოჟნის კუპონები .	156	157	— ,,
მანეთიანი ვერცხლის ფული	1, 12	— ,,	— ,,
$5^0/_0$ პირველის შინაგანის სესხის მოგები ბილეთი	— ,,	— ,,	$237^3/_4$
—მეორისა	— ,,	— ,,	$227^1/_2$
—მესამისა	— ,,	— ,,	— ,,
სახელმწიფო თავად-აზნაურთაის ბანკის ფურცელი, , , ,	$212^1/_2$	— ,,	— ,,
გირავნობის ფურცელნი ტფილისის ბანკისა .	— ,,	— ,,	— ,,
ქუთაისის ბანკისა . .	— ,,	— ,,	— ,,
ტფილისის საურთიერთო ნდობის საზოგადოებისა	— ,,	— ,,	— ,,

მიმოსვლა ცეცხლის გემებისა შავს ზღვაზე

ბათუმიდამ გადის: ხუთშაბათობით, ნაშუადღევის 4 საათზე მოკლე გზით და ნოვოროსიისკსა და კერჩში შეივლის.

შაბათობით საღამოს 8 საათზე შორის გზით (ყველა ნავთ-სადგურში შეივლის).

კვირაობით, საღამოთი, საზღვარ-გარეთ, სტამბოლამდე მიდის.

ბათუმში მოდის ოდესიდამ: სამშაბათობით შუა-ღამეს, შორის გზით.

პარასკეობით, დილით-ოდესიდამ მოკლეს გზით (კერჩსა და ნოვოროსიისკში შეივლის).

შაბათობით, დილით, სტამბოლიდამ.

ფოთიდამ ბათუმში მოდის სამშაბათობით—იმის შემდეგ, როცა სოხუმიდამ მოდის გემი შორის გზით. ხუთშაბათობით—დილის 9 საათზე დამასწრობს მოკლეს გზით მოსიარულე კავკასიისა და ყირიმის გემსა.

შაბათობით, დილის 9 საათზე, და მიასწრობს შორის გზით მოსიარულე კავკასია-ყირიმისა და რუმელია ანატოლისკენ წამსვლელ გემებს.

ბათუმიდამ ფოთს მიდის პარასკეობითა და კვირაობით. რაკი გემი მოვა ფოთიდამ, ბათუმის საავენტო გადასწყვეტს ხოლმე, როდის წავა უკან.

ამის გარდა ყოველ-კვირა ფოთში მოდიან ოდესიდამ და ყირიმ-კავკასიის ნავთ-სადგურებიდან გადაწყვეტილს ვადაზე გემები.

განცხადებანი

ქ. სიღნაღში ახლად გაიმართა

წიგნის მაღაზია

ალექსანდრე მაჭავარიანისა და ამხანაგობისა

იქვე იღებენ ყდის კეთების საქმეს ლუკა მოსულიშვილის სახლებში.

ისყიდება აგრეთვე კანცელარიის ხელსაწყო.

(19—77—19)

ქართველთა ამხანაგობის წიგნების მაღაზიაში

ისყიდება შემდეგი ახალი წიგნები:

	მ.	კ.
პატიოსანი ადამიანი . .	„	5
ლენტის მსგავსნი ჰიებნი ი. თ.	„	5
მეფე დავით აღმაშენებელი, ისტორიული დრამა თ. ალექსანდრე ჯამბაკურორბელიანისა . . .	„	40
უკანასკნელი დღე სიკვდილით დასასჯელისა, ვიქტორ ჰიუგოსი, ფრანგულით თარგ. თ. სახოკიასი.	„	30
სამნი ბრძენნი, ილ. ოკონთელისა.	„	20
ძმური სიტყვა. დ. მაჩხანელისა	„	25
იქავე ისყიდება-**თორნიკე ერისთავი**, ისტორიული პოემა აკაკისა . .	1	„

საკომერციო კურსები

ქალებისა და ვაჟებისათვის

წელიწადი მეათე

კურსების დანიშნულება ის არის, რომ სპეციალური საკომერციო განათლება შესძინოს მსურველთ, როგორც ქალებს, ისე ვაჟებს, და მოამზადოს ვარჯიშობის შემწეობით ანგარიშის დახელოვნებით მცოდნენი.

სწავლის გათავების შემდეგ ატესტატები ეძლევათ. 1891—92 სამოსწავლო წელს შემდეგი საგნები იქნება საწავლებელი: 1) საკომერციო ეკონომია, 2) საკომერციო არითმეტიკა, 3) ბუხჰალტერია მარტივი, ორ-კეცი და საბანკო 4) არითმეტიკა საანგარიშო ჩოთქით, 5) საკომერციო მიწერ-მოწერა, 6) სავაჭრო და სათამასუქო წესდებანი, 7) მსწრაფლ-წერა და წერა გარკვეული და შნოიანი.

სწავლა დაიწყება 16 სექტემბრიდამ. ახლად შემომსვლელთა მიღება დაიწყება 2 სექტემბრიდამ, ყოველ დღე საღამოს 4 საათიდამ 8 საათამდე, კურსების სადგომში, სახლი ალექსანდრე ფრიდონოვისა, № 9, სერგიევისა და ნაგორნის ქუჩებზე, აფთიაქის პირდაპირ.

პროგრამები და წესები კურსებისა უსასყიდლოდ შეიძლება მიიღოს მსურველმა კურსების სადგომში და ძმათა წოვიანოვების საბანკირო კანტორაში, სიონის ქუჩაზედ.

ვინც ქალაქს გარეშე სცხოვრობს, შეუძლიან წერილით მიჰმართოს კურსების დამაარსებელს პ. მანუელიანცს, ტფილისს. (24—94—10)

პატივი მაქვს ვაცნობო პატივცემულს საზოგადოებას, რომ მე მოვიყვანე საზღვარ გარეთიდან მღებავი მოხელე და გავმართე ქუთაისში, ბალახვანის ქუჩაზედ, წყალთა-შუა, ძმ. ვოლოხის სახლში

სამღებრო და ლაქს ამოსაყვანი ქარხანა

და ვიღებ შესაღებად სხვა-და-სხვა ფერ აბრეშუმეულს: პლიუშას, ხავერდის, შალის და ბამბის ქსოვილებს, ყოველ გვარს შეკერილს ქალის ტანისამოსს; კაცის სამხედრო სამოქალაქო ტანისამოს, ჩოხებს, ჩულქებს, ლენტებს, არშიებს, სირაქლემას ფრთებს და სხვებს. აგრეთვე ვიღებ ტანისამოსსა და ყოველ გვარს დალაქიანებულ მატერიებს ლაქის ამოსაყვანად.

მსურველთ შეუძლიათ მობრძანდნენ მიხეილის ქუჩაზე, აკოფოვის შენობაში და ფოსტით მომმართონ შეკვეთილობით და ფერიც გვაცნობონ ნიმუშით.

(28—95—9) ქარხნის პატრონი არტემ ანჯაფარიძე

ტფილისში, გოლოვინის პროსპექტზე, ქალაქის შუა-გულს ალაგას, ახალი ნომრები

დანია

მშვენივრად და სუფთად მორთული ოთახები 60 კაპ. ვიდრე 5 მანათამდე დღეში; თთვიურად ბევრი დაეთმობათ. საჭმელი ახალი და გემრიელია. (36—86—12)


КАВКА
ВЫС
СЕЛЬСК.
ПРОМЫШ
188
Б.М. АЛЕКСАНДРЪ III ИМПЕРАТ. И САМОД. ВСЕРОСС.

ტფილ. გამოფენა.


Б.М. АЛЕКСАНДРЪ II ИМП. И САМОД. ВСЕРОСС.
ЗА УСЕРДІЕ

ვარცხლისა


Б.М. АЛЕКСАНДРЪ III ИМП. И САМОД. ВСЕРОСС.
ЗА УСЕРДІЕ

ოქროსი

აღალო თუთაევის

ზეთიანის კრასკების ქარხანა იარმუკაზედ,

ტფილისში:

ვიღებ ქ. ტფილისში და საქართველოს რკინის გზის სტანციების ორის ვერსის სიახლოვეზედ სახლების აშენებას, აგრეთვე სახლების შეკეთებას (ремонтъ) და შეღებვას (полная окраска домовъ). ვყიდი ფაბრიკის ფასით საზღვარ-გარეთიდამ მოსულს ლიტო-ტიპოგრაფიის ხუდოჟნიკის და ფაეტონების წასასმელს ყველანაირ ფერის კრასკებს: ალიფს, ლაქს, გუმირაბიკს, მასას ბრონძს და ყველა ამათ მოწყობილების იარაღს.

ვამზადებ ჩემს კრასკის ქარხანაში, ყოველ ნაირ ზეთით გალესილს კრასკებს. ვპირდები ყველას, რომ ყოველი ჩემ მიერ გაკეთებული საქმე და ჩემგან ნასყიდი კრასკები იქნება უტყუარი და საქმე პირობისამებრ ჩაბარებული.

ვაძლევ სანდო ადგილებში საქმის სიმკვიდრისთვის ერთის წლიდამ სამ წლამდე ზალოგს.

კრასკები შეიძლება დაიბარონ სხვა ქვეყნებში ოცი პროცენტის ბეის გამოგზავნით, დანარჩენს ფასს გარდაიხდიან დანიშნულს ადგილზედ საქონლის მიღების დროს (наложеннымъ платежомъ).

ჩემი ადრესი: въ Тифлисъ заводъ масляныхъ красокъ на кузнецкой улицѣ (ярмарка) или собственномъ домѣ Абасабадская площадъ Агало А. Тутаеву. (15—75—15)

---

*) ჩვენ კიდევ რამდენიმე წერილი მოგვივიდა მცხეთის მცხოვრებთაგან ამ საქმის შესახებ და ყველანი სამდურავს-კი არა, დიდს მადლობას უთვლიან ბ-ნს ბარისაშვილს.

რედ.

Дозв. ценз. Тифлисъ, 13-го Августа 1891 г. სტამბა მ. შარაძისა, დროებითი რედაქტორი გრ. ყიფშიძე გამომცემელი ილია ჭავჭავაძე.